



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გაეიქმის 1937 წლიდან

დაელოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


№34 (9.648)

13-20 სექტემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გაზეთი

რეცეპტი ჯანდაცვის რეფორმისათვის



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფარმაცევტულ კომპანიებთან ერთად ცდილობს დახვეწოს ნაწილების რეცეპტით გაცემის სისტემა, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. გარდა იმისა, რომ იგეგმება ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების ჩამონათვალის გაზრდა, სამინისტრო ასევე აპირებს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც მკვეთრად შეამცირებს როგორც რიგებს სამედიცინო დაწესებულებებში, ასევე არასწორად გამოწერილი რეცეპტების რაოდენობას.

ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, წლების განმავლობაში ქრონიკულ ასთმას უმკლავდება პრეპარატ „სალბუტამოლით“, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან მხოლოდ რეცეპტით გაიცემა:

„ეს არის ერთადერთი საშუალება, რომელიც ცვლის სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და რომლის გარეშეც ვერც ერთი ასთმით დაავადებული სიცოცხლეც ვერ შეძლებს. არ მგონია, რომ ასეთი პრეპარატის შექმნა რეცეპტით უნდა იზღუდებოდეს, მით უმეტეს, რომ ნარმოუდგენელია ასთმით დაავადებულის გარდა ვინმემ რამეში გამოიყენოს. ფსიქოტროპულ საშუალებას ეგ არ მიეკუთვნება. ერთადერთი, რაც შეუძლია, ხსნის ასთმურ სპაზმს შეტყევის დროს“.

მის მსგავსად, ფარმაცევტუ-

ლი კომპანიების წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების სია გაიზარდოს. მედიკოსებიც და ფარმაცევტებიც არ უარყოფენ, რომ ამ სიახლემ მიიქმე მდგომარეობაში ჩააგდო როგორც პაციენტი, ასევე ექიმი, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარი უნდა ითქვას რეცეპტის ინსტიტუტზე:

„რა თქმა უნდა, აუცილებელია რეცეპტის ინსტიტუტი, მაგრამ, ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, დროებით გარკვეული ტიპის მედიკამენტები გადავიდეს მესამე ჯგუფში. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ისეთი მედიკამენტები, რომლებიც, წლებია, გამოიყენება და არ დაფიქსირებულია რაიმე სახის მნიშვნელოვანი უკუჩვენებები.“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეცეპტით გასაცემ მედიკამენტთა ჩამონათვალის გადახედვისკენ მოუწოდებს ოპოზიციის წარმომადგენლებმაც, რომელთა თქმითაც, ნაწილების სია იმდენად არაპროფესიულადაა დაჯგუფებული, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მათი თქმით, „რეცეპტის რეფორმის“ კრახზე მეტყველებს ე.წ. აფთიაქის ექიმის განცხადება:

„ფარმაცევტული კომპანიების მიერ დაქირავებული ექიმები იქვე, დახლის გვერდზე, რეცეპტს წერენ, რითაც მათ პრაქტიკულად აზრი დაუკარგეს იმ ვითომდა რეფორმას, რომელიც სერ-

გეენკომ წამოიწყო. აღსანიშნავია, რომ რეცეპტის გამონერას აფთიაქში თან არ ახლავს პაციენტის გასინჯვა, ლაბორატორიული კვლევები, რათა რეალურად ჩავთვალოთ, რომ ექიმი მართლა იცნობს პაციენტის მდგომარეობას და ადეკვატურად უწერს მედიკამენტს“.

ამ ფაქტზე ხმაური ატეხეს მედიკოსთა შორის. „მედიკამენტებზე ახალი სარეცეპტო რეგულაციებიდან 1 კვირის თავზე რეცეპტის შავი ბაზარი უკვე სახეზეა“, - იუწყებოდნენ მედიკოსები.

მათი ინფორმაციით, შავ ბაზარს თავად სააფთიაქო კომპანიები ამუშავებენ. გაყიდვები რომ არ შემცირდეს, მომხმარებელს ნებისმიერ რეცეპტს აძლევენ, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ აფთიაქში მოქმედებს. გადაცემა „ზინესკურიერმა“ ამ პრაქტიკის დამადასტურებლად ფარული კადრებიც გაავრცელა, რომელიც ერთ-ერთ კონკრეტულ აფთიაქში იყო გადაღებული, თუმცა მოგვიანებით გაიკვია, რომ იგივე სქემა სხვა აფთიაქებშიც იყო დაწერადი.

ე.წ. აფთიაქის ექიმების გამოჩენაზე განმარტებას აკეთებენ მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები. გია ჩიგოგიძე, „ავერსის“ სააფთიაქო ქსელის ხელმძღვანელი, ამბობს, რომ, კანონის სრული დაცვით, კომპანიამ საგანგებოდ შექმნა ექიმების კაბინეტები აფთიაქების მახლობლად თავისი მუდმივი პაციენტებისთვის, პირველ რიგში, პენსიონერებისთვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება:

„ასევე ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის, რომლებსაც დადგენილი აქვთ დიაგნოზი და დიდი ხანია იღებენ ერთსა და იმავე მედიკამენტებს. ასევე არ მოქმედებს არანაირი შეზღუდვა, რომ ეს ნაშალი გამოწეროს ექიმმა მხოლოდ და ის ნაშალი - არა. ასეთი რამ გამორიცხულია. ჩვენ ეს უფასო სერვისის შევქმენით ჩვენი მომხმარებლისათვის, მაგრამ თუ გარედან შემოდის ვინმე, ექიმები უარს ვერ ეუბნებიან... თუმცა თანდა-

თანობით ეს ყველაფერი დაიხვეწება, რათა ხარვეზები აღარ იყოს. ამ კლინიკებში არიან ძალიან კვალიფიციური, სერტიფიცირებული ექიმები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და კერძო პრაქტიკის უფლება“.

თუმცა, როგორც ირკვევა, აფთიაქების მახლობლად ე.წ. ექსპრესკლინიკების გახსნას ყურადღებით აკვირდება ჯანდაცვის სამინისტრო. მინისტრმა ამის შესახებ კომენტარი გააკეთა:

„ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაცული იქნება ძირითადი სანებართვო პირობები და ექიმი დაკავდება არა მხოლოდ რეცეპტების წერით, არამედ დაკავდება იმით, რასაც უნდა აკეთებდეს ოჯახის ექიმი. ამას სჭირდება თავისი სანებართვო, საპასპორტო პირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაში შეზღუდვა არ იქნება“.

დავით სერგენკომ მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ ასევე თქვა, რომ რეფორმის პირველმა კვირამ გამოკვეთა სამი ძირითადი პრობლემა, რომელთა გადაჭრა საშური საქმეა:

„ერთი იყო მედიკამენტების ნაწილის გადატანა ჯგუფიდან ჯგუფში, რომელიც უწყვეტი პროცესია. მეორე პრობლემა ის, რომ ექიმების მხრიდან არასწორად ინერებოდა რეცეპტები. ამაზე შევთანხმდით და გვექნება სათანადო რეაგირება. და მესამე ბლოკი საკითხებისა, რომელიც წამოაყენეს აფთიაქებისა და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებმა, არის ის, რომ უფრო მეტი კონტროლი დაგვეწესებინა იმ აფთიაქებისათვის, რომლებიც დარღვევით ახორციელებენ ამ რეგულაციას“.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ აღიარა რეფორმის ლაფსუსები და მისი დახვეწის მიზნით კონკრეტული ნაბიჯიც გადადგა.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგენკოს განცხადებით, ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების ჯგუფს 772 სავაჭრო დასახელების ნაშალი დაემატა და ისინი 15 სექტემბრიდან ურეცეპტოდ გაიყიდება.

ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტთა სიაში გადავიდა შემდეგი ჯგუფის ნაშალები: 1. ადგილობრივი დერმატოლოგიური გამოყენების ანთების საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული საშუალებები. 2. ანტივირუსული საშუალებები 3. ოფთალმოლოგიური დაავადე-

ბების სამკურნალო საშუალებები, ყურის წვეთები; 4. იმუნომოდულატორები; 5. ანტიმიკობული საშუალებები; 6. ვიტამინები და (საინექციო ნაწილის ფორმები); 7. მეტაბოლურ პროცესებზე მოქმედი საშუალებები; 8. არასტეროიდული ანთების საშუალებები (საინექციო ნაწილის ფორმები); 9. აზმოვიზური საშუალება (საინექციო ნაწილის ფორმები) 10. ერეცეპტის დისფუნქციის სამკურნალო საშუალებები; 11. ჰეპატოპროტექტორული საშუალებები; 12. ანტიჰემოლიტიური და ანტიპროტოზოიული საშუალებები; 13. ბიოგენური სტიმულატორები; 14. ანთების საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული საშუალებები; 15. რეპიდრატაციისა და დეზინტოქსიკაციური საშუალება ელექტროლიტური ხსნარები;

დავით სერგენკოს განცხადებით, აღნიშნული ცვლილებით, ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების სიაში ცვლილება მეხუთედ შევიდა და დღეის მდგომარეობით ურეცეპტოდ 4 138 მედიკამენტი გაიცემა.

„მათი აბსოლუტური უმრავლესობა გარეგანი მომხმარების საშუალებაა, მალამოებია. ეს არის ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საინექციო ფორმები, დაემატა ერთი სახის სტეროიდი, საინექციო „პრედნიზოლონი“. გადაუდებელ დახმარებას დაემატა საინექციო წვეთის ორი დამწვევი ხანმოკლე მოქმედების „პაპავერინი“ და „დობაზოლი“. ასევე, გადაუდებელ დახმარებას დაემატა დიაბეტის მართვის ორი საინექციო პრეპარატი, ეს არის ერთ-ერთი მორიგი ცვლილება. კონსულტაციები გაგრძელდება და ეს ცვლილებები საბოლოო არ არის“, - განაცხადა მინისტრმა.

მინისტრის თქმით, ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების სიაში კორექტივების შეტანა სამინისტროს ფარმაცევტთა ასოციაციამ შესთავაზა.

შეგახსენებთ, I და II ჯგუფის 6405 დასახელების მედიკამენტის ურეცეპტოდ გაცემა მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან აიკრძალა. აკრძალვას დაექვემდებარა ე.წ. მეორე კატეგორიის მედიკამენტები, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები, საგულე გლიკოზიდები, ანტიარითმული და ანტიჰიპერტენზული პრეპარატები, შაქრიანი დაიბეტის სა-მკურნალო პრეპარატები, ვიტამინების ნაწილი და სხვა სახის მედიკამენტები.

ინგა შილაშვილი

ბაიპლით
გასასხანავალი




მვ. 4

ადგილობრივი
თვითმმართველობის
მოსახლისთვის
კონსერვის
კრიპირიფიკა
დაგვიკავსა

მვ. 2

„სათნოების სახლს“
ახალი დირექტორი
კვახა



მვ. 3

უცხოელები საქართველოში შექმნილი
მიწების გაყიდვას ცდილობენ



მვ. 2

ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში დასრულდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დასრულდა.

პირისპირ შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრ არტურ რასიზადეს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ასევე მონაწილეობა მიიღო გაფართოებული ფორმატის შეხვედრებში. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა, იმყოფებოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მია ფანჯვიძე, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სავალან მირზოევი, პარლამენტის წევრები, ზურაბ ტყეშელაძე, მახირ დარზიევი და ალი მამედოვი, ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუშიშვილი. საქართველოს დელეგაცია პეიდარ ალიევის სახელობის ბაქოს საერთაშორისო აეროპორტიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა აბიდ შარიფოვმა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში აზერ ჰუსეინმა გააცილეს.

უცხოელები საქართველოში შემენილი მიწების გაყიდვას ცდილობენ

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის ინფორმაციით, უცხოელები საქართველოში შემენილი სასოფლო სამეურნეობის მიწების გაყიდვას ცდილობენ. როგორც მან აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, შესაბამისი ინფორმაცია ნოტარიუსებიდან აქვს მიღებული. "ჩამოუყალიბებლმა ვითარებამ მათ არასტაბილურობის განცდა შეუქმნა და ცდილობენ, გავიდნენ ქვეყნიდან", - განაცხადა გიგლა აგულაშვილმა. როგორც კომიტეტის სხდომაზე ითქვა, უცხოელებზე გასხვიებული მიწების ჯამური ოდენობა დაახლოებით 0.8%-ს შეადგენს. ეს კი, აგულაშვილის აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმას, იქნებოდა თუ არა რაიმე საფრხე ქვეყნისთვის, რადგან არ არის ციფრი, რომელმაც რაიმე გავლენა შეიძლება მოახდინოს. აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა დღეს გაიზიარა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების შესაძლებლობა გარკვეულ შემზღუდვებს ანებს და ამ მიმართულებით ახალ რეგულაციების შემოღებას ითვალისწინებს. საკანონმდებლო პაკეტი კომიტეტს ორგანიზაცია "ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია" შესთავაზა.

საქართველოში 35 971 ტონა ურძენი დაიკრიფა

ღვინის ეროვნული სააგენტოს უახლესი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ამ ეტაპზე სულ 35 971 ტონა ყურძენი დაიკრიფა.



მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით "საფერავი" დაიკრიფა და მისმა რაოდენობამ 22 831 ტონა შეადგინა. ყურძენ "რქანითელის" რაოდენობა 11 884 ტონაა, "კახური თვანეს" - 1 140 ტონა, ხოლო ყურძენის სხვა ჯიშების ერთობლივი მაჩვენებელი 117 ტონას შეადგენს. ამასთანავე, მოკრეფილი "რქანითელის" რეალიზაციის შედეგად მევენახეებმა - 12,239,302 ლარი, "საფერავის" რეალიზაციის შედეგად - 50,401,365 ლარი, "კახური მწვანის" რეალიზაციის შედეგად კი 1,442,022 ლარი მიიღეს. სხვა ჯიშების რეალიზაციამ მევენახეებს 67,249 ლარი მოუტანა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ღვინის კომპანიების ჩამონათვალი, რომლებსაც 2014 წელს განზრახული აქვთ ყურძენის მიღება-გადაამუშავება, 80-ს აღწევს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისთვის კონკურსის კრიტერიუმები დამტკიცდა

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად კონკურსის კრიტერიუმები დამტკიცდა. ბრძანებით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდოლოგია, თემატოლოგია და შეფასების კრიტერიუმები. საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მიერ დამტკიცებული ბრძანების მიხედვით, საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველებმა უნდა იცოდნენ: საქართველოს კონსტიტუცია; ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

ბრძანების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით, ორეტაპიან ტესტირებას გაივლიან. ტესტირებაში მონაწილე პირის ამოცანაა თითოეული ტესტური დავალების ოთხი სავარაუდო პასუხიდან სწორი პასუხი გამოიყვანოს, რომელიც 1 ქულით ფასდება. 0 ქულით შეფასდება არასწორი პასუხი და პასუხგაუცემელი ტესტი. ტესტირება ქართულ ენაზე ჩატარდება, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების თხოვნით, ტესტი ორ ენაზე - ქართულად და ეთნიკური უმცირესობის ენაზე შედგება.

ტესტირების დღეს ტესტირების მონაწილე ტესტირების ჩატარების ადგილზე 1 საათით ადრე უნდა გამოცხადდეს. მან თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მართვის მოწმობა. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე პირი ტესტირებაზე არ დაიშვება. ტესტირებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მონაწილე 0 ქულით ფასდება. ტესტირების დარბაზში დაიშვებიან ტესტირების მონაწილეები, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ტესტირების ეტაპის განმარტებით დაწესებულების წარმომადგენლები.

ტესტირება ელექტრონულად სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით ჩატარდება. ტესტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, პროგრამა ავტომატურად დაითვლის სწორი და არასწორი პასუხების რაოდენობას. კონკურსის ტესტირების ეტაპის მონაწილის შედეგი ძალაში 2015 წლის 1 ივლისამდე დარჩება. ტესტირების შედეგების გასაჩივრების მიზნით, შეიქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც საჩივრებს ტესტირების ჩატარების დღიდან 3 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტილებებს მიიღებს. საჩივარი ტესტირებაში მონაწილე პირმა საპრეტენზიო კომისიას შესაბამისი ტესტირების ჩატარების დღიდან ერთი კალენდარული დღის ვადაში უნდა წარუდგინოს. ტესტირების შეფასების დროს მიღებული ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 60-ია. აქედან, 45 ტესტურ დავალებას, ხოლო 15 ქულა უნარ-ჩვევების ნაწილს მოიცავს. ტესტირების ეტაპის მინიმალურ გამსვლელ ზღვარს სწორი პასუხების მინიმუმ 50% და მაქსიმუმ 75%-ის ფაგლებში შესაბამისი მუნიციპალიტეტი დაადგენს.

ლაგოდეხის ნაკრძალში ბრაკონიერებს ფოტომასხე აფიქსირებს

2013 — 2014 წლებში ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე დამონტაჟებული GSM ფოტომასხეების მეშვეობით სამართალდარღვევის 20 ფაქტი გამოვლინდა. ნაკრძალში დამონტაჟებული აპარატს GSM მოდული გააჩნია და გადაღებული ფოტოს მინიშნება ონლაინ რეჟიმში ხდება. სურათები პირდაპირ მიდის ელ. ფოსტასა და მობილურ ტელეფონზე მულტიმედია შეტყობინების (MMS) სახით. „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ფოტომასხეების მეშვეობით შედარებით ახალი და ეფექტური საშუალებაა. ფოტომასხეების დახმარებით შესაძლებელია გარეული ცხოველების დისტანციურად გადაღება, მათი რიცხოვნობის დადგენა, დელაპური და სეზონური აქტივობის დაფიქსირება და ა.შ. თავდაპირველად, ფოტომასხეები მხოლოდ ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვების მიზნით გამოიყენებოდა, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ GSM სასტემით აღჭურვილი ფოტომასხეები უკანონო ნადირობის, უკანონო თევზჭერის, უკანონო ხე-ტყის ჭრის და სხვა დარღვევების გამოსაგვინადაც საკმაოდ ეფექტური იარაღია“, — განაცხადა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ. სწორედ ამ მიზეზით წელს ისევ გამოცხადდა ტენდერი ახალი ფოტომასხეების შესაძენად. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ფოტომასხეების გამოყენება 2010 წლიდან დაიწყო. პირველი ფოტომასხე ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისის მიერ იქნა შექმნილი და მხოლოდ ფირის დახმარებით მუშაობდა - ერთ ჯერზე 36 სურათს იღებდა. 2011 წლიდან დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით შექმნილი იქნა ციფრული ფოტომასხეები, რომლის გადაღების რესურსი საკმაოდ მაღალი და ეფექტურია. ონლაინ რეჟიმში მომუშავე ფოტომასხე 2013 წელს პირველად საქართველოში, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე გამოიყენეს.

უბედური შემთხვევა ოზანში

სოფელ ოზანში 20 წლის გიგა ფოცხვერაშვილს დენმა დაარტყა. როგორც თვითმხილველებმა განუცხადეს, „შირაქს“ აცნობეს, გარდაცვლილი ბებიას ოჯახში წყალგაყვანილობის სამუშაოებზე ეხმარებოდა, რა დროსაც დენმა დაარტყა. როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ხათუნა ზურიკაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ჯგუფს ახალგაზრდა უკვე გარდაცვლილი დახვდა, რის გამოც სტაციონარში აღარ გადაუყვანიათ. ახალგაზრდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს დაცვის პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოში იხდიდა. ის ქალაქ დედოფლისწყაროში ცხოვრობდა, თუმცა სოფელ ოზანში პაპა-ბებების ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა. როგორც სოფელ ხორანაშვილის რუსულ-ქართულ საჯარო სკოლაში აცხადებენ, გიგა მათი მოსწავლე იყო და სამეურნეო საქმიანობა ყოველთვის უყვარდა. პედაგოგების განმარტებით, სკოლაში არაერთი წერილმანია გიგას ხელთ გაკეთებული, მათ შორის სასკოლო რადიოს ქსელის მონტაჟი. „სოფელში სტუმრად იყო ამოსული, წინა დღეებში ბებიას სხვადასხვა სამუშაოებში ეხმარებოდა, შემდეგ წყლის გაყვანა სჭირდებოდა ბებიას და უთქვამს ამაშიც დავეხმარებო და უბედური შემთხვევა სწორედ ამ დროს მოხდა. როგორც ამბობენ, მიღების გაყვანის დროს შესადღებელი უთოს კაბელი დაზიანებული ყოფილა, მინა კი დასველდა და არ ვიცოცხლე არ მოხდა, მაგრამ ამ დროს დენმა გადაიტანა. ძალიან კარგ ახალგაზრდად ახასიათებდნენ, ყველა გავიგნებულა მომხდარი“, - აღნიშნა ოზანში გამგებლის რწმუნებულმა გელა ოზანაშვილმა. ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად გურჯაანის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს. მომხდარზე მოკვლევას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

ავტოავარიის შედეგად მამაკაცი დაშავდა

7 სექტემბერს, კვირას, დაახლოებით 22:20 საათზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ქალაქ დედოფლისწყაროში. გადაჭარბებული სისწრაფით მოძრავე მერსედესის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის საველი ნაწილიდან გადავარდა. დაშავებულია სოფელ ზემო ქედის მკვიდრი, 50 წლამდე მამაკაცი, რომელიც მერსედესს მართავდა. როგორც დედოფლისწყაროს მთავარმა ექიმმა ხათუნა აგლაძემ განუცხადა, „შირაქს“ განუცხადა, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა შემთხვევის ადგილიდან სტაციონარში აუღო წნის მამაკაცი მოათავსა. მას სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნება. აგლაძის განმარტებით, პაციენტს პირველადი სამედიცინო დახმარება გაენია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. იყო თუ არა ვაჟა შ-შვილი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა მისი ნაცნობი მამაკაცი ალკოჰოლის მოყვარულად ახასიათებენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაშავებულს მართვის მოწმობა არ გააჩნია. მომხდარზე გამოძიებას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

რა ადგილებში აიკრძალა დალექვა?

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი ანებს პასუხისმგებლობას ალკოჰოლური სასმელების სმისათვის შემდეგ საზოგადოებრივ ადგილებში: ა) სტადიონზე, ბ) სკვერში, გ) პარკში, დ) ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ე) სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. სხვა საზოგადოებრივ ადგილში ივლისსმება - საჯარო სივრცეში (მაგ. ქუჩა, საზოგადოებრივ ტრანსპორტის გაჩერების პუნქტი, ფეხით მოსიარულეთა მინისტრატის გადასასვლელი, ხიდი, გვირაბი, სადარბაზოები და სხვა), ორი ან ორზე მეტი პირის შეკრების ადგილი. პასუხისმგებლობა არ გამოიყენება სავაჭრო და საზოგადოებრივ კვების საწარმოებთან, იმ ადგილებთან, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება. აღნიშნული ქმედების პირველად ჩადენისთვის მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას 50-დან 150 ლარამდე, ერთი წლის განმავლობაში განმეორებით შემთხვევაში - ჯარიმას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას.

რესტორნებში ღვინოზე კონტროლი გამკაცრდება

2015 წლის 1 იანვრიდან რესტორნებში ღვინოზე კონტროლი გამკაცრდება, - ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა. მისი თქმით, სამინისტრო გეგმავს ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებას და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება, თუ სადმე აღმოჩნდება ფალსიფიკაცია. ეს ემსახურება დარგის კიდევ უფრო გაძლიერებას, პროდუქციის ხარისხისა. სოფლის მეურნეობაში ეს დარგი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტალურად განვითარებული დარგი და სუბსიდირების ნაწილში მომავალ წელს ჩვენ, რა თქმა უნდა, გადავხედავთ. იმედოვნებ, რომ აღარ დასჭირდება ამ დარგს სუბსიდირება, რადგან საკმაოდ სტაბილურად განვითარდა“, - განაცხადა ოთარ დანელიამ. ოთარ დანელიამ ისაუბრა ჭაჭის კონტროლზეც, რომელიც ასევე განხორციელდება. მინისტრის თქმით, ბევრი მეღვინე ჭაჭის კონტროლს ისტორიულად გარღვევად აფასებს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ჭაჭის კონტროლი მოგვცემს საშუალებას, რომ ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც არის საქართველო, ყველა ღვინო იყოს ნამდვილი და არა - ფალსიფიცირებული.

„სათნოების სახლს“ ახალი დირექტორი ჰყავს



დედოფლისწყაროს „სათნოების სახლს“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. 5 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ნდობა მარინა ტოკლიკიშვილს გამოუცხადა.

იგი 1970 წელს დაიბადა სოფელ ზემო მარხაანში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ქიმიურ ტექნიკუმში განაგრძო. 1991-94 წლებში მუშაობდა დედოფლისწყაროს რაიპოლიკლინიკაში ლაბორანტად, ხოლო შემდეგ N4 საბავშვო ბაღში ექთნად. ჰყავს ორი შვილი-მაგდა უთრუთაშვილი-ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკ-ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი და მალხაზ უთრუთაშვილი, N2 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე.

როგორც ქალბატონმა მარინამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა,

დედოფლისწყაროს „სათნოების სახლს“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. 5 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ნდობა მარინა ტოკლიკიშვილს გამოუცხადა.

იგი 1970 წელს დაიბადა სოფელ ზემო მარხაანში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ქიმიურ ტექნიკუმში განაგრძო. 1991-94 წლებში მუშაობდა დედოფლისწყაროს რაიპოლიკლინიკაში ლაბორანტად, ხოლო შემდეგ N4 საბავშვო ბაღში ექთნად. ჰყავს ორი შვილი-მაგდა უთრუთაშვილი-ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკ-ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი და მალხაზ უთრუთაშვილი, N2 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე.

როგორც ქალბატონმა მარინამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა,

დღეს „სათნოების სახლს“ ბალანსზე 267 ბენეფიციარია, ორგანიზაცია მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ყოველდღიურად საშუალოდ 230-240 სულზე მზადდება სადილი, რომელიც დღეში ერთხელ 2 საათზე გაიცემა ან ადგილზე მიირთმევენ ბენეფიციართა ნაწილი, რომელთა რიცხვი კი ყოველდღიურად 40-ს არ აღემატება, უმრავლესობას იგი სახლში მიჰქვს. როგორც საუბრიდან შევსრულებულს ფაფხვამ, მაკარონი, ნინიბურა, ხოლო დესერტად ჩაი ან კომპოტი პეჩენით და კარამელით.

თუმცა, ახალი დირექტორი სულ რამდენიმე დღის დანიშნულია, ბენეფიციარებმა სურვილი გამოთქვეს, მადლიერება გამოეხატათ მის მიმართ.

ლიზიკო აოჭლაშაშვილი: -მინდა, დიდი მადლობა გადა-

ვუხადო ჩვენს მარინას, ძალიან ჰუმანურად გვეპყრობა ყველას, გვეფერება, ჩვენ, მოხუცებს მეტი კი არაფერი გვინდა...ახლა სისუფთავე ნახეთ, თუნდაც საქმელი გასინჯეთ, ერთბაშად ყველაფერი გაგემრიელდა, იმედინადაც ვართ, ვიცით, რომ სამედიცინო სფეროში კარგი გამოცდილება აქვს, ავად გავხდებით და აქვე აღმოგვიჩენს პირველად დახმარებასაც, ძალიან გვინარია...

ლელი ჯანაშვილი: -16 წელია აქ ვარ და ასეთი კმაყოფილი არ ვყოფილვარ, ძალიან გთხოვთ, რასაც გეტყვით, ყველაფერი დაწეროთ, გოგო კი არა ოქროა, ისე გაგემრიელდა საქმელები, ისეთმა სისუფთავემ და სიმშვიდემ დაისადგურა ამ შენობაში, რომ ამის არ თქმა დანაშაული იქნება, გვეხალისება აქ მოსვლა და სახლში წასვლა აღარც გვინდა, ისე კარგად ვგრძნობთ თავს.

ყველა თანაბარ პირობებში ვართ, ძალიან თბილად გვექცევა მარინა, ყოველ საღამოს დარჩენილ საკვებს მორიგეობით გვინაწილებს ბოლო ლუკმამდე,

იმედი მაქვს, სულ ასე გაგრძელდება...
ლელი ჯანაშვილი: - რაც გვექონდა, ყველაფერი გაგემრიელდა, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ თუ ახალი წლიდან დაფინანსება არ გავგეზარდა, მენიუ ვერ შეგვეცვლება, მომავალი წლიდან მენიუს კიდევ უფრო გამდიდრების იმედი გვაქვს...
 ჩვენ ისლა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ახალ ხელმძღვანელს, ხოლო ჩვენს მოსახლეობას კი ვთხოვოთ, მიუხედავად იმისა, რომ „სათნოების სახლს“ ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, მათთვის დახმარების განევა ნებისმიერი სახით, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მოქალაქეს შეგვიძლია, ამისთვის კი პირველ რიგში ჯერ კეთილი ნებაა საჭირო... გამოვხატოთ სურვილი და დაუდგეთ გვერდში ჩვენს სოციალურად დაუცველ თანამოქალაქეებს...
 ჩვენ მათ ვჭირდებით, მათ ჩვენი იმედი აქვთ!...

ელზა ხარაშვილი

15 განაცხადი რესურსცენტრის კონკურსზე

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანტურ ადგილზე 15 განაცხადი რეგისტრირებული. ამის შესახებ განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნატა ასათიანმა გაზეთ „მირაჟს“ განუცხადა, თუმცა მათი ვინაობა არ დააკონკრეტა.

„კონკურსანტების გვარებს ამ ეტაპზე ვერ დაგიკონკრეტებთ, წერილობით მოგემართეთ და გიპასუხებთ,“ — აღნიშნა ასათიანმა.

ვინაიდან განაცხადის შეტანა ინტერნეტში მიმდინარეობდა, კონკურსანტების ნაწილი ადგილობრივია, ნაწილი კი სხვა ქალაქების მცხოვრებნი.

განაცხადების მიღების ვადა 7 სექტემბერს ამოიწურა. განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსი მას შემდეგ გამოაცხადა, რაც მიხილ ბახუტაშვილი თვითმმართველობის არჩევნებში ჩაერთო და საკრებულოს დეპუტატი გახდა. მოგვიანებით კი ის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

კონკურსი სამ ეტაპად გაიმართება და ის მოიცავს: განაცხადების გადარჩევას, ტესტირებას და გასაუბრებას. კომისია საბოლოო გადანიშნულებას ხმათა უმრავლესობით მიიღებს აპლიკაციების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. კონკურსში მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა იმ მოქალაქისთვის, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

გამარჯვებული პრეტენდენტისთვის გამოსაცდელ ვადად სამი თვე განისაზღვრა, ხოლო თანამდებობრივი სარგო 1030 ლარს შეადგენს.

ბახუტაშვილმა რესურსცენტრის ხელმძღვანელის კონკურსში 2013 წლის მაისში გაიმარჯვა, იმხანად კონკურსში მასთან ერთად მთელი საქართველოში მონაწილეობდა, რომელმაც ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა. მისმა წინამორბედმა, ლევან ჯამალაშვილმა თანამდებობა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა, რის შემდეგაც მოვალეობას ბახუტაშვილი ასრულებდა.

ილია მარტყოფილი

პრემიერ-მინისტრის შეხვედრა პედაგოგებთან

2015 წელს დამატებით გამოიყოფა ფინანსური რესურსები და დაინიშნება მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მონესრიგება; მასწავლებლის ხელფასი იქნება მზარდი მომდევნო წლებშიც, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა კონფერენციაზე - „მასწავლებელთა მომზადება, პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა“.

მთავრობის მეთაურმა პედაგოგებს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები და სიახლეები გააცნო. მისი განცხადებით, მოხდა განათლების სისტემაში არსებული ვითარების საფუძვლიანად შესწავლა და მომზადდა განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგია.

სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრი ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსაც შეეხო. მისი თქმით, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, საჭიროა განათლების ხარისხის ზრდა.

„ჩვენ განათლების სფეროში სერიოზულ ინვესტიციას ვდებთ - 2012 წლიდან მოყოლებული, იზრდება ინვესტიციები განათლებასა და მეცნიერებაში. სწორედ ამ სფეროდან ველოდებით ყველაზე დიდ უკუგებას,“ - განაცხადა ირაკლი ლარიაშვილმა.

პრემიერმა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა. მისი ინფორმაციით, განხორციელებული რეფორმების შედეგად 60 პროცენტით შემცირდა ოჯახის წლიური დანახარჯი ზოგად განათლებაზე; შენდება ახალი სკოლები, გარემონტდა 1000-ზე მეტი სკოლა, სოფლებში 50 ათასზე მეტი სკოლის მოსწავლეს ემსახურება ტრანსპორტი; საჯარო სკოლებში დაინერგა ისეთი სპეციალური სერვისები, როგორცაა ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლისა და ახლა უკვე ექიმის მომსახურება; ხელმისაწვდომი გახდა ინკლუზიური განათლება.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების სფეროს, პრემიერ-მინისტრმა 21 სპეციალობაზე უფასო სწავლებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ საჭიროა კონკრეტული დარგების განვითარება.

„ჩემი ინციატივით ჩამოყალიბდა განათლების საერთაშორისო ცენტრი, სადაც მოხდა რესურსების კონსოლიდაცია, რათა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მისცემოდა საზღვარგარეთ განათლების მიღების საშუალება. განათლების ცენტრმა უკვე დააფინანსა 77 სტუდენტის სწავლება მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში,“ - აღნიშნა პრემიერმა.

მან პედაგოგებს დამდეგი სასწავლო წელი მიულოცა და განაცხადა, რომ სწორედ პროფესიონალ პედაგოგებს შეუძლიათ ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც იქნება მაქსიმალურად რეალიზებული და წარმატებული.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემა სრულიად ახალ პერსპექტივას შექმნის ქვეყნის განათლების სფეროში, ხოლო მასწავლებლის პროფესია კი იქნება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული.

კონფერენციის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი პედაგოგებს გაესაუბრა და მიმდინარე რეფორმების შესახებ მათი მოსაზრებები მოისმინა.

ქართული შესტური ენის განვითარების მხარდაჭერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით პროექტის „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში, პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო ქართული შესტური ენის განვითარების მხარდაჭერა.

საკითხი აქტუალურია, რამდენადაც, 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 12 ყრუ მოზარდი ჩაირიცხა, რომლებიც პროფესიულ განათლებას შესტური ენის თარჯიმნების დახმარებით იღებენ.


სტუდენტთათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, შესაბამისი ქართული შესტების იდენტიფიცირება და შესტური ენაზე მოლაპარაკება შორის დამკვიდრება, რამდენადაც ათწლეულების მანძილზე შესტური ენის სწავლების საშუალებად გამოყე-

ნება არ ხდებოდა, ეს კი ენის განვითარებას აფერხებდა.

8-10 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დელეგაცია ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროდან. ნორვეგიელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს შესტების იდენტიფიცირების, დამკვიდრების და ბაზაში ასახვის მეთოდოლოგიას აცნობენ. ამისათვის წარმოდგენილი იქნა შესტების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა - შიგნ ჭიკი, რომლის ანალოგი ქართული შესტური ენისთვისაც შეიქმნება.

ქართული მხრიდან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას ეღებულობენ წარმომადგენლები ყრუთა კავშირიდან, შესტის მომხმარებელი

ყრუ პირები, სტუდენტები, შესტური ენის თარჯიმნები და ლინგვისტები. აღნიშნული ინიციატივის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის პროცესში ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ფუნქციონირებს შესტური ენის ლაბორატორია.



ნინო ავთანდილის ასული პოპიაშვილი- ის ჩვენს ფესვზე ამოსული ღონიერი და ჯანმრთელი ყლორტია, რომელსაც ვერანაირი ქარიშხალი ვერ მოტყვის, ვერ წააქცევს. მართალია, თბილისში დაიბადა, გაიზარდა, სწავლა-განათლებაც იქ მიიღო და სახლობს კიდეც, მაინც ამბობს - ქიზიყელი ვარო. ეს იმიტომ, რომ იცის, კუტოანთ დიმიტრისა და ძაძოანთ თამარას ფუძის სიძლიერე, მამის და დედის გენეტიკური გონიერება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიმტკიცე და ერთგულება სწორედ ქიზიყიდან მოსდევს. ჩვენც გვემამაყება, რადგან ის საქართველოს იმ წარჩინებული ახალგაზრდების რიგში დგას, რომელმაც იცის, რა უნდა და როგორ უნდა აკეთოს ის, რაც უნდა. ნინო 1976 წლის 12 მარტს დაიბადა, წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე, გაიარა ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით და მას მერე სულ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა. 2004 წელს, 27 წლის ასაკში დაიცვა დისერტაცია თემაზე „ პერსონაჟების ხატვის თავისებურებები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში.“ მიიღო დოქტორის აკადემიური ხარისხი და, ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორია. მუშაობს საგანმანათლებლო პრობლემებზე და აგროვებს მასალებს 9აპრილისა და ეროვნული მოძრაობის ზეპირი ისტორიების შესახებ.



ნინომ მშვენიერი ოჯახი შექმნა სიღნაღელ ახალგაზრდასთან, ბორის დონჯაშვილთან ერთად. ჰყავს სამი შვილი: მარიამი, დავითი და ბარბარე. მართალია, როგორც სამი შვილის გაზრდა და მეცნიერული საქმიანობა ერთდროულად, მაგრამ იქ, სადაც ერთმანეთს ერწყმის ურთიერთგაგება და მხარში დგომა, ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა, ყველაფერი შესაძლებელია.

ნინო ისეთი ოჯახის შვილია, სადაც ნივთიერება, შრომა და პატიოსნება კულტად იყო აღიარებული. მამამისი- ავთანდილ პოპიაშვილი სოფელ გამარჯვებაში დაიბადა, აქვე წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და იქამდე იცვალა უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟული ფაკულტეტები, ვიდრე თავისი სულის შესაფერის მეცნიერებას არ მიაგნო. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ პოპიაშვილი მრავალი წიგნის, ნაშრომის, საგაზეთო სტატიის ავტორი გახლდათ, იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, გულანთებული მამულიშვილი და ზვიად გამსახურდიასა და მისი გუნდის მხარდამხარ იბრძოდა. იყო უზუნაესი საბჭოს დეპუტატი, მისი ხელმოწერა დაფიქსირებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 53 წლის ასაკში, უკურნებელი სენით დაავადებული წავიდა ამ ქვეყნიდან და შვილებს პატიოსანი კაცის სახელი დაუტოვა საგზლად.

„ნინოს შემდეგ, 1977წლის 2 ოქტომბერს მეორე ქალიშვილი, თამარი, ბებოს მოსახელე შეგვეძინა. ავთო სიხარულით აღარ იყო. აქვე უნდა ვთქვა, რომ ქვეყანაზე არც ერთ მამაკაცს ისე არ უნდოდა ვაჟი ჰყოლოდა, როგორც ავთოს, მაგრამ გოგონებისთვის არაფერი დაუკვლია. თბილი მამა იყო, არა მგონია, ამაზე ძლიერი სიყვარული წარმოსადგენი იყოს. ათასგვარ მოსაფერებელ სახელს ეძახდა და თითო ბავშვებს თვითონ აბანავებდა. ცოტა რომ მოიზარდნენ, მეგობრებოვით ესაუბრებოდა მათ. ჩვენი შვილები დღესაც მისი თვალთ ზომავენ ყველაფერს, მის მიერ ჩანერგილი ღირებულებებით ცხოვრობენ. მან თავისი ცხოვრებით აჩვენა მაგალითი იმისა, რომ შეიძლება ადამიანი იცხოვრო სულიერად დაბინ-

ძურებულ გარემოში, მაგრამ ჭუჭყი კი არა, მტვრის ნატამალიც არ მიიკარო...“- წერს თავის მოგონებებში მისი მეუღლე ნაირა ბუბიევა-პოპიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართველი და ოსი ხალხების დიდი გულშემატკივარი და გულმზურვალე ჭირისუფალი.

ჰოდა, ასეთ ოჯახში, ასეთ ტრადიციებზე გაზრდილი ახალგაზრდები წარმატებულნი და ზნეკეთილნი რომ არიან, რა გასაკვირია. ნინოს უმცროსმა დამ, თამარმა, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა, სამეცნიერო საქმიანობისთვის გერმანიაში გაემგზავრა, იქ ეწვია სიყვარული, შექმნა ოჯახი და იქ დასახლდა. ჰყავს ერთი ქალიშვილი.

როგორც თავადაც მიხვდით, ნინო შერეული ოჯახის შვილია, -ქართულ-ოსური ოჯახის, ისე როგორც დედამისი.

ქალბატონი ნაირას მამა ირაკლი ბუბიევი ზნაურის რაიონის სოფელ ბლთიდან იყო, ხოლო დედა- ნაია (თამარ) ცეცხლამწვლი ყვარლის რაიონის სოფელ შილდიდან. ისინი სამსახურმა ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში შეახვედრა ერთმანეთს. დიდი ოჯახი შექმნეს. ექვსი ქალ-ვაჟი გაზარდეს. მათ ოჯახში ქართველი და ოსი ნათესავები ხშირად იყრიდნენ თავს და ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ. ამიტომ, ბავშვებს ორივე მხარე ძალიან უყვარდათ. ანალოგიური მდგომარეობა იყო ავთანდილ პოპიაშვილის და ნაირა ბუბიევის ოჯახში, სადაც შამიდეები, დეიდები, ბიძები და მათი შვილები ერთნაირი „უფლებებით“ სარგებლობდნენ. ნინოს ერთნაირად უყვარს ქართველი და ოსი ნათესავები, უხარია მათი სიხარული და სტკივა ტკივილი. ტკივილი კი ბევრი მიადა ამ ოჯახს ორივე მხრიდან. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაწყებული ქართულ- ოსური კონფლიქტი მათ ოჯახზე მტკივნეულად აისახა. ჯერ კიდევ ბავშვობაში ორივე მხარის სიახლოვემ ძირეულად ჩაახედა ნინო ამ პრობლემებში. ალბათ, ამანაც განაპირობა მისი ინტერესები, წიგნად აკინძა და გამოეცა ის ტკივილიანი განცდები და პირადი ისტორიები იმ ადამიანებისა, რომლებიც ორთავე მხარეს მრავლად იყვნენ მის გარშემო.

სულ ცოტა ხნის წინ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 107-ე აუდიტორიაში გაიმართა ამავე უნივერსიტეტის ლექტორის ნინო პოპიაშვილის წიგნის „ომი ქალის მეხსიერებაში“ პრეზენტაცია.

წიგნის ავტორმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა, როცა 2003 წელს მონაწილეობა მიიღო ფონდ „ღია საზოგადოება- საქართველოს“ ქალთა პროგრამის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: ქალთა ზეპირი ისტორიები (ფიქსირება და კვლევა). მისი პროექტი მიზნად ისახავდა ქართველი და ოსი ქალების, ასევე შერეული ოჯახების წარმომადგენელი ქალების მიერ მოთხრობილი ზეპირი ისტორიების ფიქსირებას და მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართულ- ოსური კონფლიქტის ისტორიის კვლევას ქალთა ზეპირი ისტორიების გამოყენებით.

„ზეპირი ისტორიების ფიქსირებით

რამდენიმე მიზანი მიიღწევა: ეს არის ქართველი და ოსი ხალხის ეთნიკური ისტორიის ამსახველი მასალა, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ობიექტური რეალობით დაინტერესებული ისტორიკოსებისთვის, კონფლიქტოლოგებისთვის, ეთნოლოგებისთვის, ფოლკლორისტიკისთვის, პოლიტოლოგებისთვის, სოციოლოგებისთვის, მკვლევართა ფართო წრისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე ზრუნავენ. შესაძლოა, მოთხრობილი ისტორიებზე გადაიღონ ფილმები, რაც მონათხრობს ახალ სიცოცხლეს შესქენს“-ამბობს წიგნის ავტორი და გვაცნობს რესპოდენტებს, რომელთა მონათხრობიც საინტერესოდ არის გადმოცემული წიგნში.

ვერა აიდაროვა-მაისურაძე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ცხოვრობდა თბილისში, თუმცა, მრავალი წლის განმავლობაში პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარალელურად ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში

დაქცეული ოჯახი, დაკარგული სამშობლო და ერებს შორის გაჭყლეტილი მისი გცნობები. რესპოდენტთა შორის არიან ავტორის დედა ნაირა ბუბიევა-პოპიაშვილი და დედა ცირა (მზიური) ბუბიევა-ინაური, როგორც ქართულ-ოსური შერეული ოჯახის შვილები და დიასახლისებიც, რომლებმაც საკუთარ თავზე, ოჯახის წევრებსა და და ორივე მხარეს განფენილ სანათესაოსთან მიმართებაში გადაიტანეს უამრავი ტკივილი, დარტყმა, დამცირება, შიში, სიდუხჭირე, უსახლკარობა და ლტოლვილის ბედი საკუთარ სამშობლოში და ხალხებს შორის.

- „მე შერეულ ოჯახში გაიზარდე. ჩვენთან ოსი ნათესავიც მოდიოდა და ქართველიც, ცხინვალის პედინსტიტუტის სტუდენტობისას ოსი მეგობარიც მყავდა და ქართველიც, მერე იქვე ცხოვრებისას- ოსი მეზობლებიც და ქართველებიც, სამსახურში ოსი მოსწავლევც მყავდა, და ქართველიც... შვილები ისე დაეზარდე, ერთი ბიძა ქართველი ჰყავდათ, მეორე-ოსი, დედა ოსი, მამიდა-ქართველი, აბა, ვის დავპირისპირებოდი! ჩვენი მდგომარეობა ძალიან მძიმე

ტკივილით გასახსენებელი

მუშაობდა. 1942-46 წლებში იყო რეპრესირებული, როგორც წარმოშობით გერმანელი ოჯახის წევრი. მისი მეუღლე გახლდათ სერგო მაისურაძე - მტელე. ქალბატონი ვერა 2011 წელს გარდაიცვალა.

„ჩემი ცხოვრება უმძიმესი ქართველებით არის აღსავსე. ბევრჯერ დამეძგერა მთელი ძალით ავი გრიგალი, ბევრჯერ დამიშრიტა სასიცოცხლო ენერგია, მომხარა და გამძარცვა. ჯერ ობლობა და ავი მამინაცვლის ხელში გავლილი სუსხიანი ბავშვობა, შემდეგ ციმბირსა თუ სხვადასხვა, ჩემთვის უცხო ქვეყანაში ხეტიალი ქმართან და ერთადერთ შვილთან ერთად, ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად, ბრძოლა შვილის მომავლისათვის, რომელსაც, თურმე, მომავალი არც კი ეწერა, რადგან 21 წლისა მოულოდნელად გამომაცალეს ხელიდან. სასონარკვეთა, უკიდურესი, სიკვდილთან გათანაბრებული სასონარკვეთა, ყველაზე მოურჩენელი ჩემი ტკივილი, დღემდე რომ გაუნღებელი ცეცხლივით მწვავს. საბავშვო სახლიდან ბავშვის აყვანა, მის გაზრდაში ჩაკლული სევდა, სტუდენტობთან მუშაობა, სადოქტორო დისერტაციის მზადება და გაუსაძლისი დღეების ასე დათვლა. სიბერის წლებში ახალი ჭრილობა-ქართულ-ოსური კონფლიქტები, რომელსაც, ალბათ, იმ დარტყმას გავუტოლებდი, შვილის სიკვდილმა რომ განმაცდევინა. მე, უკვე

იყო, ორივე მხარეს ჩემი ხალხი იყო, ჩემი სისხლი და ხორცი, უამრავი განსაცდელის, უამრავი ფიზიკური, სულიერი და მატერიალური ზარალის, სიკვდილისა და ვაჭების შემდეგაც იმას ვიტყვი, რომ მე ორივე ხალხის ტკივილი მტკივა და მანუხებს, მე ვერც ერთს ცუდისთვის ვერ გავიმეტებ. ორივე მხარის ცოდვა იმას, ვინც წინდაუხედავად გადადგმული ნაბიჯის გამო საკუთარ ამბიციებს ანაცვალა ამ ორი ერის ფესვებიდან- ვე უერთებთ შერდილი და ურთიერთ გადახლართული ხალხების მომავალი, ცხოვრობდით, გვიყვარდა ერთმანეთი, პატივის ვცემდით, ვმეზობლობდით, ვმეგობრობდით, ვთხოვდებოდით, ვქორწინდებოდით...-ყვება ქალბატონი ცირა. ომის საშინელმა და უღმობელმა კანონმა ბევრს გაუნადგურა სახლ-კარი, წლობით ნაშენ-ნაგროვები ქონება. ქართველების უმრავლესობამ დატოვა ცხინვალი, ოსთა დიდმა ნაწილმა კი- საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში აშენებული სახლ-კარი მიატოვა. განუციტნაობამ მტყუან-მართლის ძიება არ იცის. დანიყო ყაჩაღობა, რბევა, ტაცება ორივე მხრიდან.

იქით ცხინვალიდან გამომიყარეს ოსებმა ჩემი და-ცირა ბუბიევა და მისი ქართველი ქმარ-შვილი: ანზორ ინაური და მისი სამი ვაჟი, რომელთაც სწორედ ცხინვალიდან გამოძევების შემდეგ და შედეგად თავს საშინელი ტრაგე-



საუკუნეს მიტანებულ ქალს, მინდა გამბობთ ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, - და ქალბატონი ვერა ყვება იმ ემოციების შესახებ, რაც ქართულ-გერმანულ-ოსურ სისხლთან და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის გამო ცხოვრებამ მთარგო;

ღია დაატყდათ, ერთ დროს სახელოვან და შემდეგ ბუდეანგრეულ ოჯახს, აქა-იქ სანონიალოდ გაუხადეს საქმე. აქეთ ქართველებმა თბილისიდან გამოძიქვეს ძმა, რომლის ერთადერთი დანაშაული ის

სიასლენები განათლების სისტემაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა ზოგად განათლებაში განხორციელებულ და დაგეგმილ სიასლენებზე პრეს-კონფერენციაზე ისაუბრა და ამ მიმართულებით, ყურნალისტებს ამომწურავი ინფორმაცია მიანიშნა.

ზოგადი განათლების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს საფუძვლად უდევს სამინისტროს მიერ ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოები, კვლევების შედეგები და კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და განათლების ექსპერტებთან, რის შედეგადაც, 2014 წელს შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა:

- დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის რევიზია, შესაბამისად, დაწყებითი საფეხურისათვის ახალი სახელმძღვანელოები შეიქმნება;

- 2014-2015 აკადემიური წლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში უკვე განხორციელებულია დაგეგმილი ცვლილებების ნაწილი, მათ შორის: მეორე უცხო ენის სწავლება სავალდებულო გახდა მე-5 კლასიდან ნაცვლად

მე-7 კლასისა, განისაზღვრა სადამრიგებლო საათის თემატიკა დაწყებით კლასებში, ის ორიენტირებული გახდა წიგნიერების დონის ამაღლებასა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე. საბაზო საფეხურზე სადამრიგებლო საათი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის უნარების განვითარებას დაეთმობა. სექტემბრიდან საშუალო სავალდებულო განათლების დაწყებას დაიწყება მენარმეობის კურსის პილოტირება 100 საჯარო სკოლაში, აბიტურის საათის შინაარსის და მიმართულების არჩევის უფლება მიეცა სკოლას მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე. სასწავლო გეგმის მიხედვით განისაზღვრა დამრიგებლის მშობელთან ურთიერთობის სავალდებულო ფორმატი და შინაარსი. აგრეთვე, ამოქმედდება მშობლების განათლების პროგრამა.

- 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყება ეროვნული სასწავლო გეგმის დაწესების მონიტორინგი საბაზო და საშუალო საფეხურებზე. მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება ამ საფეხურების საგნობრივი სტანდარტის რევიზიისათვის. 2015 წლის პირველ

- გრძელდება საქართველოს მასშტაბით სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობა. ახალი სასწავლო წლისთვის სრულდება 400-მდე სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდება ასევე 2 ახალი სკოლის მშენებლობა, 2014 წლის ბოლომდე 6 ახალი სკოლა შევა ექსპლუატაციაში, ხოლო სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე (1000 ბავშვზე გათვლილი), 2015 წლის დასაწყისში დასრულდება. წელს დაიწყება 8 ახალი სკოლის მშენებლობა. აქტიურად მიმდინარეობს სკოლების აღჭურვა საჭირო ინვენტარით, 2014 წელს აღჭურვება 1500-ზე მეტი სკოლა, ყველა პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს კომპიუტერები გადაეცემა.

- გრძელდება უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამა. 2014 წლის სექტემბრიდან 500 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით.

- სასკოლო ავტობუსები მოემსახურება 1000-ზე მეტ სკოლას. შესაბამისად ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლებს 53 000-ზე მეტი მოსწავლე.

- ყველა სკოლაში, სადაც არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და დამხმარე პედაგოგი. 2014 წლის სექტემბრიდან ასეთი სკოლა 900-ზე მეტია. სკოლების მოთხოვნის შესაბამისად გაიზარდა ინტეგრირებული კლასების რაოდენობა.

- სექტემბრიდან სკოლებში სამედიცინო კაბინეტი ამოქმედდება საპილოტე რეჟიმში.

- ფსიქოლოგის მომსახურებაზე 700-ზე მეტი სკოლის მოთხოვნის საფუძველზე, დაიგეგმა ფსიქოლოგიური ცენტრების საქმიანობის გადახედვა-გაფართოება.

- ამოქმედდება მასწავლებლის ახალი სტანდარტის მიხედვით შემუშავებული პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა.



კვარტალში დასრულდება საბაზო საფეხურის რევიზია.

- მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამის პილოტირება წარმატებით დასრულდა და ამჟამად პროგრამაში ჩართულია 500 სკოლა.

(მეოთხე გვერდიდან)

იყო, რომ ოსი იყო. კახეთში კი მოხუცი მამაჩემი ჩაიკეტა სახლში და გარეთ ვეღარ გამოდიოდა შიშით, ვითუ გვერდით მცხოვრები ქართველები აღარ მომესალმონო. უსიამოვნებას ასე არიდედა თავს. არადა, ცოლიც ქართველი ჰყავდა, სამი სიძეც და დაღლილ მუხლებზე ქართული და ოსური სიმღერა -ზღაპრებით გაზრდილი შვილიშვილებიც... მაინც ვერ ავცდიდი საშინელებებს... ორივე მხარეს ჩემი ხალხი იდგა, იქეთაც მე ვიყავი და აქეთაც, იქეთაც მე ვინჩებოდი სისხლით, აქეთაც... დაზაფრულები და განადგურებულები ვიყავით მე და ჩემნაირად ქართულ-ოსურ ოჯახებში გაზრდილი, ორივე ხალხის სიყვარულით გამთბარი ადამიანები.

ქართველებზე ცუდს ამბობენ, ვინც და ვიფერფლებით, ოსებს აძაგებენ, ისევ ვინც და ვიფერფლებით.

იქით, ზნაურში, მდინარე ფრონეს პირას, მამისეულ კერაზე დიდი ხანია ცეცხლი აღარ ანთებულა, ბალთაში ათეული წლებია, პაპა-ბებების ივანე ბეპივის და მაიკო ქოზაევის ბალახგადავლილ საფლავეზე ერთი ნაშიერიც კი აღარ (აღარ კია არა, ვეღარ) მისულა.... აქეთ ოსობისთვის გაძევებულ ჩემს ძმას და მის ერთადერთ ვაჟს ვებლაუჭებით, იქნებ დაუბრუნდნენ ქართულ მიწა-წყალს, არ გაციოთ ყვარელში, მთისძირში, მდინარე არემის პირას მამისეული კერა, სადაც დღესაც შვილისა და შვილიშვილის მოლოდინში ლოგინს მიჯაჭვული მოხუცი ბებიალა, ბებია ნადია ცეცხლაშვილი, რომელსაც უძღურების გამო ძლივს და უფეთქავს სასიცოცხლო ძარღვი და სუსტად, მაგრამ მაინც ეჭიდება სიცოცხლის ძაფს, რომ მათ შინმობრუნებას მოესწროს, კერა ჩააბაროს. ისე კი, უნდა ვთქვა, მე მყარად მჯერა და ვერც ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეს ასე არ იქნება,-ოსებთან და ქართველებიც ისევ ერთად ვიქნებით, ისევ დავუბრუნდებით ერთად საველ სწორ, საერ-

თო გზას, საიდანაც ჩვენდაუნებურად გადაგვახვევინეს. ამ რწმენით ვცოცხლობ მე დღესაც და რასაც ვაკეთებ, ამ იმედით ვაკეთებ. ვაკეთებ ორივე ერის სიყვარულით, ორივე ერისთვის, ორივე ერთან განგების შეუცნობელი ძალით დაბადებამდე შენივთული და შესისხლხორცებული... წერს თავის მოგონებებში ნაირა ბეპივი-პოპიაშვილი-სა.

ცხინვალში დაბრუნებაზე ოცნებობს თამრიკო ხიზანიშვილი. ცხინვალის ვანო მაჩაბელის სახელობის თეატრის მსახიობი და რეჟისორი, რომელიც ცხინვალში დაიბადა, გაიზარდა, დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცხინვალში, დღეს ლტოლვილია და, ოჯახით ცხოვრობს თბილისში, სასტუმრო „ვ ა კ ე შ ი“ დევნილებთან ერთად. გთავაზობთ მისი ჩანაწერის ერთ ნაწყვეტს:

„ჩემო პატარა ჩიხამასა ქალაქო, რომ იცოდე, როგორ მენატრები, რომ იცოდე, როგორ მეცოდები და როგორ მიყვარხარ, ჩემო მყუდრო, უხმაურო, პანანინავ. რა გიმელო, რითი დაგეხმარო, როგორ მოგვდე, როგორ მოგეშველო?! რომ იცოდე, როგორ მენატრები, - ცრემლებამდე! რას არ მივცემდი, ოღონდ შენ მენახე მორთული, ოღონდ შენ მენახე ისეთი, როგორც მინატრისხარ. ჩემო სამშობლოვ და ჩემო დედულეთო. ჩემო დაკარგული და გადამწვარი ბავშვობა! სადა ხარ, ჩემო ყმანეიქლობაზე, ჩემო სკოლაზე, ჩემო ერთა-მოგლეჯილო ბავშვობის მოგონებანი, სად გეძებოთ, სად, ვისი ხელით გინა განადგურებამ, ჩემო სიზმრის დედა! ჩემო პატარა ქალაქო, ყოველდღე სიზმარში გხედავ, ჩემო პატარა ქალაქო, მენთან მინდა, მენთან!!!“ აქვე გთავაზობთ დიალოგს

ქალბატონ თამარსა და ავტორს შორის:

-„დაბრუნებაზე შენსავით ბევრი ფიქრობს?“

-ცხინვალის ლტოლვილი ყველა ასე ფიქრობს. ენატრებათ თავიანთი სახლ-კარი და უნდათ დაბრუნება.

-ახალგაზრდებიც იმავე განწყობაზე არიან?“

-ახალგაზრდებიც და ბავშვებიც ნაკლებად, რადგან მათთვის მშობლიური ქალაქი ცხინვალი არ არის. თუ ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდა, ცუდი იქნება, რადგან თაობები შორდებიან ერთმანეთს. ამ ბავშვებისთვის ცხინვალელი ოსები უკვე უცხოები არიან. ცხინვალსაც არა აქვს მათთვის ის ხიბლი და მიმზიდველობა, რადგან ბევრს ცხინვალი აღარც ახსოვს, ანდა, საერთოდ არ უნახავს და სხ-

ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ დღემდე ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები არსებობს. ასეთ პირობებში, როდესაც ქართულ-ოსური ურთიერთობები გაყინული კონფლიქტის სტატუსს ატარებს, კიდევ უფრო რთულია, დაინეროს ობიექტური ისტორია. სწორედ ამიტომ ქალთა ზეპირი ისტორიები ფასდაუდებელი წყარო შეიძლება აღმოჩნდეს მკვლევარებისათვის, კონფლიქტოლოგებისათვის, ქართულ-ოსური ურთიერთობით დაინტერესებული მკითხველისათვის. ამ ორი ერის წარსული ურთიერთობები და დამოკიდებულებები კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ამ კონფლიქტში მესამე მხარის ჩართულობა ნათელი და უტყუარია. ამას 2008 წლის

ხეება მამულს, ენას და სარწმუნოებას. ამ ჭრილში განიხილავს იდენტურობის მცნებას-სამშობლოს სიყვარულში, ოსეთისა და აფხაზეთის ტკივილში. ვის ნაზრევს არ გაეცნობით, რათა გაერკვეთ იდენტურობის არსში. აქ მოხმობილია ცნობილი ფრანგულენოვანი ავტორი ამინ მაალუფი, რუსი ებრაელი ვლადიმერ კამინესი, იაპონური წარმოშობის გერმანიის მცხოვრები იოკო თავდა, ილია, ვაჟა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გოგებაშვილი, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდიაძე, ნაირა გელაშვილი, აღექსანდრე აბაშელი, ალიო მირცხულავა, დავით (დევი) გოგიბედაშვილი და სხვა მრავალი. ავტორისეული თხრობა კი დინამიურია, ტექსტი სადა და მოქნილი, ამიტომაც კარგად იკითხება.

ასეთივე სიხალისით იკითხება მისი 2013 წელს გამოცემული მონოგრაფია „ქალი ავტორი-ლიტერატურული, კულტურული და გენდერული კვლევები“. აქ სათანადო ადგილი ეთმობა ქალის როლს, მის ადგილს ფოლკლორში. ქალი ავტორის საკითხი და პრობლემა განხილულია ევროპული, ისლამური აღმოსავლეთისა და ქართული ლიტერატურის მაგალითზე. ნაშრომში წარმოჩენილია ქალი ავტორების ტექსტისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებები.

ნიგნი განკუთვნილია ლიტერატურული ტექსტების მკვლევართათვის, ლიტერატურათმცოდნეობით, გენდერული კვლევებით, კულტუროლოგიური საკითხებით დაინტერესებულნი სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

დღეს ნინო პოპიაშვილი პედაგოგიური მოღვაწეობის და დიდი ოჯახის დიასახლისობის პარალელურად, კვლავ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. გვეამოყება მისი ნარმატებები, რადგან ნინოს ფესვები დედოფლისწყაროშია, სოფელ გამარჯვებაში.

ნაირა გორაშვილი



ვაგან გაიზარდა...“

აი, ეს არის დღეს მთავარი საზრუნავი, დროში დასაშურებელი! ჩვენი რესპოდენტებიც თავის ისტორიებს იმ რწმენით ჰყვებიან, რომ იქნებ ჩვენი მონათხრობი გაკვეთილად გამოდგეს, ამ მიძიმე ისტორიებით, ტრაგიკული ამბებით ქართველებმაც და ოსებმაც რაღაც გაითვალისწინონ, რაღაც ისწავლონ და ასეთი ტრაგედია აღარ განმეორდეს.

ქართველ და ოს ქალთა ზეპირი ისტორიები მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიას უწყვეტ ხაზად გასდევს. ზეპირი ისტორიები იტყვის ამბებს, რომელიც ქვეყნისა და ხალხების ისტორიაში ფაქტების სახით დარჩება. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების

ავგისტოს ომიც ადასტურებს.

ნინო პოპიაშვილის ნიგნი „ომი ქალის მესხიერებაში“ დახვეწილი ქართული დაწერილია და საინტერესოდ იკითხება, ისე, როგორც მისი წინა ნიგნები. 2011 წელს გამოცემული ნიგნი-„ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში“ ავტორი ამჟღავნებს ძველი თუ ახალი ლიტერატურის და ისტორიის, რელიგიის, ფილოსოფიის ღრმა ცოდნას. ნიგნს კვლავ უძევს საფუძვლად და ის მხატვრულ ლიტერატურას არ განეკუთვნება, მაგრამ საოცარი ინტერესით და სიღრმად იკითხება. ავტორი ერთნაირი ემოციით და ცოდნის სიღრმით მოიხმობს ამა თუ იმ აზრის განსამტკიცებლად ან ასახსნელად როგორც პროზას, ასევე პოეზიას ან ლოცვანს. იგი

ოჯახისთვის ბედნიერების მომტანი ხატი და დედა-შვილის ტრაგიკული ისტორია

კეთილმსახური ქერივი, წმიდა სოფიო იტალიაში ცხოვრობდა (დაახლოებით 137 წელს) და ქრისტეს მცნებების ერთგულებით ზრდიდა თავის ასულს, რომელმაც სამი ქრისტიანული სათნოების მიხედვით პისტი (რწმენა), ელპიდი (სასოება) და ალაპი (სიყვარული) დაარქვა. იმპერატორ ადრიანეს მიერ მართლმორწმუნეთა დევნისას დედა და შვილები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას და მას დაუფარავად აღიარებდნენ ყველას წინაშე.

ქალაქის თავმა ანტიოქოსმა ამის შესახებ უღმრთო თვითმპყრობელს აუწყა, მან კი, პირუტყვიანი გულისწყრომით აღსავსემ, ბრძანა, დაუყოვნებლივ რომში ჩაეყვანათ აღმსარებლები. ქრისტეს სასძლოები სიხარულით აღივსნენ, მაღლობა შესწირეს უფალს და შესთხოვეს, სატანჯველთა დათმენის ძალა მიემადლებინათ მათთვის. როცა წმინდანები იმპერატორის წინაშე წარდგინდნენ, ყველა გააოგნა მათმა სიმშვიდემ: გეგონებოდათ,

სანამებლად კი არა, ბრწყინვალე დღესასწაულზე მოუხმიათო. ადრიანემ არტემიდეს კერპის თაყვანისცემა მოსთხოვა მარტილებს. სოფიომ ყველას მაგივრად მიუგო: მისთვის მოვსულვართ „აქა, რაითა სარწმუნოება ჩუენი დავიცვათ, ვიდრე სიკუდილადმდე“.

უსჯულომ სამი დღე მისცა მათ საბოლოო პასუხის მოსაფიქრებლად, შემდეგ კი ასულები ცალკე გაიხმო, პირფერობით მოუწოდა გამზრდელი დედის სიბრალულისკენ და უწინდელი მოთხოვნა გაუმეორა. გოგონებმა მტკიცედ მიუგეს: „რაი უტკიბილეს არს ქრისტიანისა, ვითარ ვნებაი ქრისტესსი?“ ამის შემდეგ მტარვალმა დები ურთიერთს დააშორა - იმედოვნებდა, რომ ასე მაინც მოაუძღურებდა ნეტარებს, მაგრამ ვერაფერს გახდა.

პირველად უფროსი - თორმეტი წლის პისტი ეწამა. უსჯულოებმა მას სამოსელი შემოაძარცვეს, ხელები ზურგს უკან შეუკრეს და სასტიკად გვემეს,

შემდეგ მკერდი მოაჭრეს. ჭრილობებიდან სისხლის ნაცვლად რძე გადმოდინდა, მაგრამ ამ სასწაულმა გონს ვერ მოიყვანა „მძლავრი იგი“ - ბრძანა, გახურებული კეცებით მოეწვიათ წყლულები; პისტი ცეცხლზე შემოდგმულ, ფისითა და ქონით სავსე ტაფაზე დააყენეს, მაგრამ ალს სიმზურვალე დაეკარგა და ქრისტეს სასძლოს არაფერი დაშავებია. ბოლოს მას თავის მოკვეთა გადაუწყვიტეს.

შემდეგ შუათანა - ათი წლის ელპიდე აწამეს. ისიც ტანსაცმელშემოძარცული გვემეს გამხმარი ძარღვებით და ცეცხლში ჩააგდეს; უვნებლად გადარჩენილი, ძელზე დაკიდეს და რკინის ჩანგლებით ჯიჯგენეს, შემდეგ - აფულებული ფისით სავსე ქვაბში ჩააყენეს, მაგრამ ქვაბი ცვილივით გალღვა, მღულარე დაითხია, შემოკრებილთაგან მრავალი დაწვა, წმიდა მონამე კი გადარჩა. ბოლოს ისიც მახვილით მოაკვდინეს.

ამის შემდეგ ჯერი ნაბოლარაზე, ცხრა წლის ალაპიზე მიდ-



გა. იგი ისე სასტიკად გვემეს, რომ „ასოთა იგი შეგდმულეზაი დაიჭსნებოდა თქსისა შენანვერებისაგან“. ნანამებს უღმრთო მსაჯულმა აღუთქვა, თუ სიტყვით მაინც აღიარებ, რომ „დიდ არს არტემი“, ცეცხლში დაწვას გადაურჩებიო. გოგონა კი არც ჯალათებს დაელოდა, არც მტარვალის ბრძანებას - „ესრეთ ნადიერად შევიდა და დადგა შორის საჭუმისა მას“. ყრმა უფლის ანგელოზებმა დაიცვეს დაწვისგან. გააფთრებულმა წარმართებმა „რკინითა საჭურეტლითა შემისაიათა“ ბარძაყები დაუხვირტეს ნეტარს, ბოლოს კი თავი მოჰკვე-

თეს. სოფიოს ყველაზე სასტიკო წამება ხვდა წილად - საკუთარი თვალებით უმზერდა შვილების ტანჯვას, მაგრამ „არარაი შეემთხუეოდა სულმოკლებისა და დედობრივისა მოშიშებისა“. საკვირველ ასულთა საკვირველი დედა სიტყვითა და ლოცვით განაძლიერებდა მარტილებს, შემდეგ კი ლუსკუმში ჩაასვენა მათი ცხედრები, ურმით წაასვენა მშობლიურ ქალაქში და თავის მიერვე აგებულ საყდარში დაფლა. სამი დღე არ განშორებია ნეტარი წმიდა საფლავებს, შემდეგ კი მისი სულიც შეივადრა უფალმა.

ს ს ს ს

კახა ყველაშვილი




ჩემო უბედური დედის გაზრდილო, შვილო, შენ შემოგვევლოს შენი დედა. დედა, რომელმაც სიხარულით გაგზარდა და მოულოდნელად გაუფრინდი თვალსა და ხელს შუა. შენ არაფრის ტკივილი არ იცოდი. კახა, მოვიდა 18 სექტემბერი, შენი უბედური დაბადების დღე, რომელსაც სიხარულით ვიხდიდით, ახლა კი...მე არ გილოცავ; შვილო, უბრალოდ აღვნიშნავ. ვიცი რომ შენი ამხანაგები და უფროსები მოვლენ შენს საფლავზე, დაგინთებენ სანთლებს და მოგიგონებენ .4 წელი გიხდება, შვილო, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უბედურ დედაშენს კი აღარ ელირსა შენთან წამოსვლა. მამაშენი ნახე და ჩაგიკრავს გულში, სანამ მე მოვალ. შენი შვილები უკვე დიდები არიან და ბევრი სჭირდებათ, შენი თავი უნდათ. დალოცე შენი ცოლ-შვილი, რომ ჯანმრთელები იყვნენ. ყველას ძალიან გვენატრება, ძალიან გვიყვარხარ, ძალიან გვჭირდები. კახა, შენი უფროსები დღემდე დიდ დახმარებას უწევენ შენს ოჯახსაც და დედაშენსაც. სიზმრად მოეჩვენე და დიდი მადლობა უთხარი მათ. თუმცა, ვიცი, შვილო, შენ არაფერი გესწავლება.

18 სექტემბერს, ყველა ის ხალხი გიხსენებს, ვინც გიცნობს, ვისაც შენთან დრო უტარებია. ნათელში გამყოფოს უფალმა.

შენთვის მლოცველი უბედური დედა, შენი ცოლ-შვილი, შენი დედა, მამა და სიძეები.

ზურაბ (კალიჩი) თარაშვილი



უღმბებელმა სიკვდილმა მოულოდნელად წაგვართვა შენი თავი, საყვარელო მამა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები.

13 აგვისტო მეხის დაცემას ჰგავდა ჩვენთვის. 20 სექტემბერი ხომ შენი დაბადების დღეა, ყოველი ადამიანის სიცოცხლე ბედისწერის ერთი წიგნია. შენმა ბედისწერამ 77 ფურცელი მიითვალა მხოლოდ. ყველა მძიმედ განიცდის შენს წასვლას, ძვირფასო, ვერასდროს ველარ გნახავთ, მამა, ველარ გავიგებთ შენს ხმას, ამაზე ფიქრი საშინლად მზარავს. ვინ თქვა, დრო მკურნალიაო, პირიქით, გაუსაძლისი მონატრებაა. ყველა, ვინც კი გიცნობდა, ცრემლმორეული ყველა შენს კარგ ადამიანობაზე. ნუთუ ვერაფერს გრძნობდა შენი გული, მამა, რომ ითვლებოდა გამოეთხოვა ამ წუთისოფელს.

გადის სევდიანი 40 დღე. იმის მაგივრად, რომ 20 სექტემბერს, შენი დაბადების დღე აღგვენიშნა, მოვალთ შენს საფლავთან და გაყინული ქვიდან მომზირალ სურათს მოვეფერებით. ძალიან ძნელია ამაზე საუბარი. ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ და ყვავილებით შევამკოთ შენი საფლავი. ნათელი და სანთელი არ მოჰკლებოდეს შენს სულს. ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სამუდამო სასუფეველი.

შენი ოჯახი

დედა: ნანა ლეკაშვილი, მეუღლე მაია ივარდავა, შვილები ნანიკო, ნათია და ანი, დეიდაშვილები: გია და ვანო კონცელიძეები ოჯახებით იუნწყებიან

მირაზ ჩართოლანის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 13 სექტემბერს, 2 საათზე, სოფელ ზემო მაჩხანაში.

ნაზი მოსაშვილი, ილიკო და ვანო ბიკაშვილები სამძიმარს უცხადებენ ნანა ლეკაშვილს, მაია ივარდავას, ნანიკო, ნათია და ანა ჩართოლანებს

მირაზ ჩართოლანის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყურის №2 საშუალო სკოლის 1980 წლის X^ა კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ელენე ჭუაბი იუნწყებიან თანაკლასელის

მირაზ ჩართოლანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ანგელინა ლორაშვილი, გულო გურასპაული, ლალი ხუციანიძე, ეთერ ფიროსმანაშვილი, ნაირა გორაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ლეკაშვილს შვილის, მაია ივარდავას მეუღლის

მირაზ ჩართოლანის

გარდაცვალების გამო.

ყურადღება

ხელოვნების სკოლა ასხადებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2014-2015 სასწავლო წლისათვის სამუსიკო-სამხატვრო განყოფილებაზე.

სამუსიკო განყოფილებაზე „უნარების კლასის“ გავლის შემდეგ მოსწავლეები ჩაირიცხებიან შემდეგ განყოფილებებზე:

1. საფორტეპიანო განყოფილება
2. სავიოლინო განყოფილება

სიახლეა სამუსიკო განყოფილებაზე :საგანი არჩევით (ანუ სურვილით)

1. ქართული ბალადა
2. ფოლკლორი (ჩოგბურღი, ფანდური, სალამური)
3. გიტარა

სამხატვრო განყოფილებაზე შეიძლება

1. ხატვა
2. ფერწერა
3. ხელოვნების ისტორია
4. კომპოზიცია
5. ძირწვა

სიახლეა სამხატვრო განყოფილებაზე: საგანი არჩევით

1. მხატვრული ფოტობრაფია

ამ საგნის სწავლა შეუძლიათ როგორც სამხატვრო განყოფილების მოწაფეებს, ისე ნებისმიერ სასკოლო ასაკის მოწაფეს. სკოლაში შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ბანძხადა
2. 2 ფოტოსურათი 3/4-ზე
3. დაბადების მოწმობის ასლი

სკოლაში ჩაირიცხებიან 7-12 წლის მოწაფეები.

მადლიერება

მინდა, ამ წერილით მადლობა გადავუხადო სათნოების სახლის დირექტორს მარინა ტოკლიკიშვილს და მთელ მის კოლექტივს იმ სითბოსა და გულისხმიერებისათვის, რასაც ისინი ჩემს მიმართ იჩენენ. 6 წელია, რაც სათნოების სახლის ბენეფიციარი ვარ, ყოველდღე დავდივარ აქ, მაგრამ ასეთი მომსახურება, როგორც დღესაც, მე არ მახსოვს. წინა წლებში სულ ჩხუბი და დაძაბული სიტუაცია იყო, მისვლით კი მივდიოდით, მაგრამ ერთი სული გვექონდა, როდის წავიდოდით სახლში. ახლა კი იქ მისვლა მიხარია, მთელი 1 საათის მანძილზე ვზივარ და სულიერად ვისვენებ. საჭმელიც უფრო გემრიელია და გარემოც უფრო მშვიდი. მადლობა ყველას ამისათვის.


ეკატერინე ქორთოშვილი, სათნოების სახლის ბენეფიციარი

მადლიერება

სოფელ სამრეკლოში და სამრეკლოს ბაგა-ბაღში წლების განმავლობაში იყო ელექტროენერჯის მოძველებული სისტემა,რის გამოც ხშირად ითიშებოდა ელექტროენერჯია და უშუქოდ რჩებოდა მოსახლეობა. ხალხის ეს გასაჭირი გულთან მიიტანა ახალმა ხელისუფლებამ და კახეთის ენერჯოდისტრიბუციამ. სოფელში შეიცვალა ელექტროსადენები, მოხდა გამრიცხველიანება და აღმოიფხვრა ეს პრობლემა, რის გამოც სოფელ სამრეკლოს მოსახლეობა და ბაგა-ბაღის თანამშრომლები მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, სოფელ სამრეკლოს გამგებლის წარმომადგენელს ლ.მაძღარაშვილს, კახეთის ენერჯოდისტრიბუციის აბონენტთა მომსახურების ცენტრის უფროსს ი.გიგოლაშვილს, ელექტრომონტიორს გ. ნიკლაურს და მათ ყველა თანამშრომელს განუვლი თანადგომისთვის.



ულოცავთ!



წელი ქენქაქე-გუსაშვილს!

ჩვენო საყვარელო წელი, მართალია, მშობლები ახალგაზრდა ასაკში დაიღუპნენ, მაგრამ თქვენ, შვილებს: თამაზ, ზურა და ნელი ქენქაქეებს გიპაატრონეთ ჩვენ დეიდებმა და ან გარდაცვლილმა შალიკო პაპამ და მანია ბებომ. სკოლა დაგამთავრებინეთ, გასწავლეთ შეძლებისდაგვარად, დაგაოჯახეთ სამივე, თქვენთვის არაფერი დაგვიკლია დღემდე. 11 სექტემბერს გახდა 38 წლის. ხარ 4 ლამაზი შვილის დედა და ერთი ულამაზესი შვილიშვილის ბებია ვაჟიშვილის მხრიდან. გილოცავთ, ვამაყობთ და ვცოცხლობთ მხოლოდ თქვენით. სიცოცხლის ბოლომდე ჩვენი პატივისცემა და იმედი არ მოგაკლდებათ. იცოცხლეთ და გაიხარეთ.

შენი დეიდები: ფატი და ლუიზა ზურაშვილები

თორნიკე ალადაშვილს!

თოქო, ჩვენო საყვარელო და ჩვენო სულისდგამავ, ჩვენი ოჯახის საიმედო მემკვიდრე, დაბადების დღეს გილოცავთ, 18 წლის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდით. ეს წელი შენთვის ბედნიერია. 12 წლის ნაცვლად 11წელში წარმატებით დაამთავრე სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე ჩაირიცხე ასპროცენტის დიფინანსებით. ეს დიდი წარმატებაა. იყავ ბედნიერი შენს მშობლებთან ალექსთან და რუსუდთან, დედას: გვანცასთან, მარტასა და მანანასთან ერთად. კვლავაც წარმატებული იყოს შენი ცხოვრება. უფაღს ვთხოვთ, ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში მფარველად მოგვევლინოს.

სიყვარულით,

ბებია კლარა ოზაშვილი, პაპა გუგუნი ალადაშვილი.

ღალა ბილიაშვილს!

ბოლიკა ლაბარიას!

გილოცავთ შვილების დათო ლაბარიას და თიქო ნიქუაძის შეუღლებას. სიყვარული, რომელმაც ისინი შეაერთა, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყოლოდეთ. იყვენ ბედნიერები, გამრავლდნენ და გაიხარონ. მალე ბებიის და პაპის ამპლუაში გვენახეთ.

პატივისცემით: თქვენი მამობარი „შირაქელი“.

ნანა ალადაშვილს!

ბორის ბორაშვილს

გულწრფელად გილოცავთ თქვენი შვილების ირინა ბორაშვილის და შოთიქო ჯავახიშვილის ქორწინებას. ახლადშეუღლებულებს ბედნიერებას, სიხარულს, გამრავლებას და მტკიცე ქართული ოჯახის შექმნას ვუსურვებთ. თქვენ კი მრავალგზის ბედნიერი პაპა-ბებია ყოფილიყავით. გვიყვარხართ და გეფერებთ.

პატივისცემით: ნაირა, ცინელი, სპარტაკი, ანგელინა, გულნარა, მანანა, თამილა, ლილა ბორაშვილები ოჯახაგვით.

მანანა ჭილიტაშვილს!

არბოშვილის საჯარო სკოლის პედაგოგიური დაბადების დღეს ულოცავს სკოლის დირექტორს მანანა ჭილიტაშვილს. უსურვებს ჯანმრთელობას, უღრეს სიხარულს და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სკოლის პედაგოგიური

გიორგი ბოსტონაშვილს!

იზა კიკოლაშვილს!



ჩვენო საყვარელო შვილებო, გილოცავთ გაბედნიერებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, გამრავლებას. ეს დიდი სიყვარული გაგყოლოდეთ თქვენი სიცოცხლის ბოლომდე.

უფალი გვარავდეთ!

უდიდესი სიყვარულით მშობლები: ლამარა და გიორგი ბოსტონაშვილები, ხათუნა და გელა კიკოლაშვილები. სოფელი ზემო მანანა

ყურადღება!

სიახლე!

ბავშვთა გასართობ ცენტრ „ლაბორინთში“ ფუნქციონირებას იწყებს კაფე ქალბატონებისა და ბავშვებისათვის, სადაც იქნება როგორც ცხელი და ცივი კერძები, ასევე ტკბილეული. ფუნქციონირება 15 სექტემბრიდან დაიწყება. მობრძანდით, აქ გელით სასიამოვნო და მყუდრო გარემო, დაბალი ფასები. მისამართი: ბარათაშვილის ქ.8ა.

ყურადღება!

თუ თქვენ მეტყველების პრობლემა გაქვთ და ლოგოპედი გჭირდებათ, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე 591 93 73 10 ან 593 96 10 66 და იკითხოთ ირინა, თქვენ შეღავათიან ფასად მოგემსახურებათ დედაქალაქში თერთმეტწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე, კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაგეხმარებათ მეტყველების ნებისმიერი დარღვევის დაძლევაში.

იყიდება!

იყიდება ორთახიანი ბინა ლოჯიით რუსთაველის ქუჩაზე, ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ წინ, ავტომალაზიის მაღლა, მე-2 სართულზე. 555 211 920 გოჩა.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 15.09 დღე ღამე	სამშაბათი 16.09 დღე ღამე	ოთხშაბათი 17.09 დღე ღამე	ხუთშაბათი 18.09 დღე ღამე	პარასკევი 19.09 დღე ღამე	შაბათი 20.09 დღე ღამე	კვირა 21.09 დღე ღამე
25°	20°	26°	20°	24°	20°	24°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა ბორაშვილი-პოპიაშვილი წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისიანი, ილია მარტყოფლიანი (ჟურნალისტიკა); ელა ხარაშვილი (სტილისტი-მხევერი); ნათელა ბოსტონაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფოტო-მხევერი); მზინა ქენქაქე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფრონტის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	--	--